საქართველოს უნივერსიტეტი

ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის

გლობალური და ევროპული ჯანმრთელობის განათლებისა და კვლევების ინსტიტუტი

დებულება

პრეამბულა

საქართველოს უნივერსიტეტის მისიაა ცოდნის წარმოება და პიროვნების განათლება, ადამიანში ლიბერალურ - ჰუმანური ღირებულებების გაღვივება, პატიოსანი შრომით წარმატების მისაღწევად მისი აღჭურვა საჭირო ცოდნითა და უნარებით.

საქართველოს უნივერსიტეტის ჯანდაცვის მეცნიერებების სკოლის გლობალური და ევროპული ჯანმრთელობის განათლებისა და კვლევების ინსტიტუტის მიზანია გააძლიეროს უნივერსიტეტის კვლევითი და პროფესიული პოტენციალი ჯანდაცვითი მეცნიერებების მიმართულებით, ხელი შეუწყოს მეცნიერებაზე დაფუძნებულ სწავლებას, გაიზიაროს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და თავისი საქმიანობით აამაღლოს უნივერსიტეტის ცნობადობა და მისი რეიტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო წრეებში.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) გლობალური და ევროპული ჯანმრთელობის განათლებისა და კვლევების ინსტიტუტი (შემდგომში - ,,ინსტიტუტი“) არის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის (შემდგომში - „სკოლა“) სამეცნიერო და პროფესიული პოტენციალის გაუმჯობესების მიზნისთვის შექმნილი ფუნქციური ქვედანაყოფი, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას, ექვემდებარება სკოლას. ინსტიტუტი საკუთარი საქმიანობის ფარგლებში ანგარიშვალდებულია როგორც სკოლის, ასევე უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

1.2. ინსტიტუტი არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული და ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით და პროფესიული განვითარების კუთხით საქმიანობას და თავისი მისიისა და მიზნის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს აკადემიურ და კვალიფიკაციის გაძლიერების სასწავლო პროცესში.

1.3. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის და სკოლის შიდანორმატიული აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობა

2.1. ინსტიტუტის მიზანია ხელი შეუწყოს ცოდნასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული, გლობალური და ევროპული ჯანმრთელობის კვლევების საუკეთესო პრაქტიკისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვას და განათლების ხელშეწყობას სტუდენტების, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისათვის ქვეყნისა და რეგიონის პოპულაციის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის და ასევე, სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

2.2. ინსტიტუტის ძირითადი ფუნქციები და საქმიანობის მიმართულება:

2.2.1. სამეცნიერო-კვლევითი და პროფესიული კომპეტენციის გაუმჯობესების მიზნით გლობალური და ევროპის რეგიონის ჯანმრთელობისა და მედიცინის მიმდინარე პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად საერთაშორისო არენაზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის გაცნობა და გაზიარება;

2.2.2. ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის გამოწვევების საპასუხოდ, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ეპიდემიოლოგიური კვლევების ჩატარების ხელშეწყობა;

2.2.3. ჯანმრთელობის მეცნიერებების მულტიდარგობრივი მიმართულებით სკოლის უნივერსიტეტის, სამეცნიერო და საგანმანათლებლო პოტენციალის გაუმჯობესება, აკადემიური პერსონალის განვითარების ხელშეწყობა და შიდა საუნივერსიტეტო სივრცეში სხვა სკოლებთან სამეცნიერო კოლაბორაცია;

2.2.4. ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამეცნიერო საქმიანობის კოორდინირება;

2.2.5. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სკოლის სხვა სადოქტორო პროგრამის განხორციელების პროცესში ინსტიტუტთან თანამშრომლობა;

2.2.6. ინსტიტუტის კვლევითი პოტენციალის გათვალისწინებით სტუდენტთა კვლევით პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა;

2.2.7. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო მიმართულებების და პრიორიტეტების შესაბამისად ეროვნულ და ქვეყნისგარე პარტნიორებთან ერთად სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარება;

2.2.8. შიდა და საჯარო, სასერტიფიკატო და კვალიფიკაციის ასამაღლებელი მიზნობრივი ტრენინგების, სამეცნიერო სემინარების, კონფერენციების და სამუშაო შეხვედრების ინიცირება, ორგანიზება და განხორციელება;

2.2.9. კვლევების წარმოების, გამოქვეყნებისა და სამეცნიერო საზოგადოებაში გაზიარების ხელშეწყობა სტუდენტთა, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისათვის ეროვნულ და საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მხარდაჭერა/კონსულტირება.

2.3. ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ინსტიტუტის საქმიანობაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის და სტუდენტების თანამშრომლობით იქმნება კვლევის და განათლების ერთიანი სივრცე. ინსტიტუტის ბაზაზე მიმდინარე პროექტ(ებ)ის ფარგლებში შესაძლოა ფორმირდეს და პროექტის მიმდინარეობის პერიოდში იმუშაოს დარგობრივი კვლევითი კომპეტენციის ცენტრ(ებ)მა (დანართი N1). ინსტიტუტის საქმიანობა ეფუძნება უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითად პრინციპებს:

- აკადემიური თავისუფლება;
- სინდისის თავისუფლება;

- არჩევანის თავისუფლება;
- კოლეგიალობა;
- განვითარებისაკენ სწრაფვა;
- პასუხისმგებლობა.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

3.1. ინსტიტუტის სამეცნიერო მართვას, სტრატეგიულ ხედვას, განვითარებას და საკადრო საკითხებს ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და ამავდროულად, არის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;

3.2. ინსტიტუტის საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას მართავს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. ასევე, ინსტიტუტის დირექტორის არყოფნაში, ხელმძღვანელობს ინსტიტუტს, მის სამეცნიერო საბჭოს;

3.3. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოს - ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსგან, სადაც შედიან ინსტიტუტის დირექტორი, დირექტორის მოადგილე და სკოლის თითოეული დეპარტამენტის მინიმუმ ერთი წარმომადგენელი, რომელიც წარმოადგენს დეპარტამენტს;

3.4. სკოლის საბჭოსა და უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საბჭოს რეკომენდაციით, სკოლის დირექტორის წარდგინებით ინსტიტუტის დირექტორს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი;

3.5. ინსტიტუტის მიერ ხდება სამ წლიანი მუშაობის გეგმის და ბიუჯეტის შემუშავება/განახლება, რომელიც წარედგინება სამეცნიერო და სკოლის საბჭოებს დადასტურებისთვის. საანგარიშო წლის ბოლოს ხდება წლიური ანგარიშის მოსმენა;

3.6. სკოლის საბჭოსთან თანამშრომლობით, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო შეიმუშავებს ინსტიტუტის დებულებაში ცვლილების პროექტს;

3.7. აფასებს და არჩევს შიდა საუნივერსიტეტო და გარე საგრანტო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო კონკურსებისთვის განაცხადებს და უწევს რეკომენდაციას როგორც სკოლის საბჭოზე, ასევე საუნივერსიტეტო და / ან საერთაშორისო დონეზე წარდგენისთვის;

3.8. ინსტიტუტის სტრუქტურაში, მიმდინარე პროექტ(ებ)ის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლოა დაარსდეს და პროექტ(ებ)ის მიმდინარეობის პერიოდში იფუნქციონიროს დარგობრივი კვლევითი კომპეტენციის ცენტრ(ებ)მა (დანართი N1).

3.9. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე ხმათა უმრავლესობის პრინციპით (50%+1). საბჭო უფლებამოსილია, თუკი საბჭოს სხდომას ესწრება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი და ინსტიტუტის დირექტორი ან მისი არყოფნის შემთხვევაში - დირექტორის მოადგილე;

3.10. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს შექმნამდე ინსტიტუტის სამეცნიერო მართვისა და განვითარების, საკადრო საკითხებს წყვეტს ინსტიტუტის დირექტორი, სკოლის საბჭოსთან შეთანხმებით

მუხლი 4. ინსტიტუტის პერსონალი

4.1. ინსტიტუტს ჰყავს სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალი, რომელსაც მიეკუთვნება მეცნიერი, ასისტენტი და პოსტ-დოქტორანტი;

4.2. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის პოზიციას იკავებს საქართველოს უნივერსიტეტთან აფილირებული პირი, ასევე შესაძლებელია სამეცნიერო პოზიციას იკავებდეს მოწვეული პირი საერთაშორისო სამეცნიერო წრეებიდან;

4.3. საჭიროების შემთხვევაში ინსტიტუტში შეიძლება დასაქმდეს კვლევის თემატიკებთან და მართვის ასპექტებთან დაკავშირებული სპეციალისები;

4.4. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე მათი შრომითი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 5. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

5.1. სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:

5.1.1. დამოუკიდებლად და კვლევით ჯგუფთან ერთად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოებას;

5.1.2. დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;

5.1.3. განახორციელოს აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობა მხოლოდ უპირატესად საქართველოს უნივერსიტეტში, გარდა კოლაბორაციისა და განსაკუთრებული შემთხვევებისა, რომელიც იქნება განსაზღვრული ინსტიტუტის დირექტორის, შესაბამისი სკოლის დირექტორის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის და / ან რექტორის მიერ;

5.1.4. მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსებში, მიიღოს დაფინანსება, ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით. აგრეთვე, მიიღოს ანაზღაურება კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შედეგად ინსტიტუტის მიერ მიღებული შემოსავლებიდან;

5.1.5. მონაწილეობა მიიღოს და / ან დაგეგმოს და წარმართოს საჭიროებებზე მორგებულ ტრენინგებსა და სასწავლო კურსებში, კომპეტენციის ამაღლების მიზნით, როგორც შიდა საუნივერსიტეტო სივრცეში, ასევე მის გარეთ;

5.1.6. ინსტიტუტის პერსონალთან ერთად პროექტებში შესაძლოა ჩართული იყვნენ სხვადასხვა სასწავლო საფეხურზე მყოფი სტუდენტები, მათი სამეცნიერო და კვლევითი უნარებისა და კომპეტენციების გაუმჯობესების მიზნით.

5.2. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:

5.2.1. დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;

5.2.2. შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

5.2.3. პერიოდულად წარმოადგინოს მუშაობის ანგარიში ინსტიტუტის დირექტორის/სამეცნიერო საბჭოს წინაშე;

5.2.4. გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის/სკოლის/ინსტიტუტის ქონებას;

5.2.5. შეასრულოს ინსტიტუტის დირექტორისა და სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები;

5.2.6. წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე ღონისძიებებში;

5.2.7. გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას;

5.2.8. იყოს ინსტიტუტის კეთილი ნების ელჩი სამეცნიერო წრეებში და ხელი შეუწყოს მისი ცნობადობის გაზრდას.

5.3. სამეცნიერო პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი 6. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

6.1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.

6.2. სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის აუცილებელი ეტაპია გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან.

6.3. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების მსურველს უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული შრომები რეფერირებად და იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში;

6.4. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია სამეცნიერო მიღწევების მქონე პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება;

6.5. პოსტ-დოქტორანტის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, პოსტ-დოქტორანტის თანამდებობაზე არჩევა ხდება 3 წლის ვადით.

6.6. ინსტიტუტის პერსონალი ექვემდებარება ატესტაციას უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ატესტაციის ერთიანი წესის შესაბამისად.

6.7. ატესტაციის ერთიან წესს შეიმუშავებს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს რექტორის საბჭო.

მუხლი 7. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

7.1. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილი სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.

7.2. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

7.2.1. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;

7.2.2. ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

7.2.3. გრანტებით მიღებული შემოსავალი;

7.2.4. შემოწირულობები;

7.2.5. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.

7.3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტის, სკოლისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისთვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 8. ინსტიტუტის ბიუჯეტი

8.1. ინსტიტუტს გააჩნია დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომელიც არის სკოლის ბიუჯეტის განუყოფელი ნაწილი და რომელსაც ყოველი კალენდარული წლის ბოლოს სკოლის დირექტორთან წარადგენს ინსტიტუტის დირექტორი;

8.2. ინსტიტუტს ბიუჯეტი შედგება ორი ნაწილისაგან:

8.2.1. უნივერსიტეტის საბაზისო დაფინანსება, რომელსაც ინსტიტუტის დირექტორის წარდგენის შემდეგ განიხილავს სკოლის საბჭო შემდგომი დამტკიცებისთვის;

8.2.2. გარე დაფინანსებით მოპოვებული თანხები ხელშეკრულებების საფუძველზე ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების და გრანტების სახით, რომელსაც წარადგენს ინსტიტუტის დირექტორი და ამტკიცებს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო.

მუხლი 9. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

9.1. ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:

9.1.1. ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

9.1.2. უნივერსიტეტის შიდანორმატიული აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები, ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

10.1. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდანორმატიული აქტებით დადგენილი წესით.